

ხელფასის გადახდის გატარებები

სისტემაში შესაძლებელია დათვლილი უწყისის მიხედვით შესრულდეს ხელფასის გადახდის გატარებები. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ხელფასი/ხელფასის გადახდის გატარებები“.

მაკროსი (ხელფასის გადახდის გატარებები)

ოპერაციის თარიღი
26.02.2021

ანგარიშსწორების ანგარიში

აირჩიეთ ღირებულების ცენტრი
საერთო ღირებულების ცენტრი

კომენტარი


მონიშნეთ უწყისი, რომლის შესაბამისის გადახდის გატარებებიც გინდათ რომ შესრულდეს.

მონიშნე	წელი	თვე	უწყისის ნომერი	უწყისი
<input type="checkbox"/>	2021	2	2	ხელფასის დარიცხვის უწყისი


OK შევწყვიტოთ

გამოსულ ეკრანში მიუთითეთ ხელფასის გადახდის გატარებების თარიღი. მიუთითეთ ანგარიშსწორების ანგარიში, საიდანაც ხდება ხელფასის გადახდა. ამისათვის დადექით ველზე „ანგარიშსწორების ანგარიში“ და აკრიფეთ ანგარიშის ნომერი. იხილავთ იმ ანგარიშების ჩამონათვალს, რომლებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი ციფრებით. ან ველის გასწვრივ სამწერტილიან ღილაკზე დაჭერით გამოსულ ანგარიშთა გეგმიდან აირჩიეთ სასურველი ანგარიში. ჩვენს შემთხვევაში მივუთითოთ 1210. სურვილის შემთხვევაში მიუთითეთ კომენტარი.

როგორც ხედავთ ეკრანში მოცემულია თქვენს მიერ დათვლილი უწყისების ჩამონათვალი. უნდა მონიშნოთ ის უწყისი, რომლის შესაბამისი გადახდის გატარებებიც გსურთ რომ შესრულდეს. გადახდის გატარებები შესრულდება უწყისში მოხვედრილი ყველა თანამშრომლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის გადახდის გატარებების შესრულების დროს არ სრულდება საშემოსავლოს და საპენსიო გადასახადების გადარიცხვის გატარებები. თუ უწყისების სიაში არ მონიშნავთ არცერთ ჩანაწერს არ შესრულდება გადახდის გატარებები და ეკრანზე იხილავთ შესაბამის შტეკინებას.



ჩვენს შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ერთი დათვლილი უწყისი. მონიშნეთ უწყისი და დააჭირეთ ღილაკს „OK“.




ეკრანზე იხილავთ შეტყობინებას: რამდენი თანამშრომელი იყო უწყისში და მათ შორის რამდენ თანამშრომელზე განხორციელდა გადახდის გატარებები. ჩვენს შემთხვევაში გადახდის გატარებები შესრულდა ორივე თანამშრომელზე. ვნახოთ ბუღალტრული გატარებები. გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ბუღალტრული/გატარებები“


OA_Transaction	გადად	დოკუმენტის ტიპი	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალ
10	5		ხელფასის დარიცხვა	2	25.02.2021 21...	3320	გადასახდელი საშემ...		300.00	GI
11	5		ხელფასის დარიცხვა	2	25.02.2021 21...	3130 2	01016002626 ანა სიგუა	300.00		GI
12	6		ხელფასის გადახდა	2	26.02.2021 21...	1210	ეროვნული ვალუტა ...		784.00	GI
13	6		ხელფასის გადახდა	2	26.02.2021 21...	3130 1	01016002526 ია იაძე	784.00		GI
14	6		ხელფასის გადახდა	2	26.02.2021 21...	1210	ეროვნული ვალუტა ...		1,200.00	GI
15	6		ხელფასის გადახდა	2	26.02.2021 21...	3130 2	01016002626 ანა სიგუა	1,200.00		GI
								1,984.00	1,984.00	

როგორც ხედავთ გატარებების სიაში ჩვენს მიერ შესრულებულ ხელფასის გადახდის გატარებებს ველში „ოპერაციის ტიპი“ მიეთითა ხელფასის გადახდა. გატარებების სანახავად გააკორექტირეთ გატარება.

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	ლირებულების ცენტრი	დებეტი რაოდენობა	კრედიტი რაოდენობა
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		784.00	GEL	საერთო ღი...		
3130 1	01016002526 ია იაძე	784.00		GEL	საერთო ღი...		
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		1,200.00	GEL	საერთო ღი...		
3130 2	01016002626 ანა სიგუა	1,200.00		GEL	საერთო ღი...		
		1,984.00	1,984.00				

ორივე თანამშრომლისთვის შესრულდა ხელფასის გადახდის გატარებები. ხელფასის ანგარიშის (3130) სადებეტო თანხები შეივსო ამ გატარების შესაბამისი უწყისის ხელზე ასაღები თანხებით. დახურეთ ეკრანი.

თითოეული პიროვნების ხელფასის გადახდის გატარებების ნახვა ასევე შესაძლებელია თანამშრომლების სიიდან. გამოიძახეთ „ამოცანები/ხელფასი/თანამშრომლები და ხელფასის დარიცხვები“. სიაში მონიშნეთ ერთი თანამშრომელი და დააჭირეთ ლილაკის  გასწვრივ არსებულ პატარა შავ სამკუთხედს. ჩამოშლადი მენიუდან აირჩიეთ შესაბამისი ჩანაწერი.



ეკრანზე იხილავთ ამ კონკრეტული პიროვნების ხელფასის გადახდის გატარებებს.

The screenshot shows a window titled "გატარებები" (Transactions) for the period "01.01.2021 - 01.01.2022". The table below displays the transaction details:

გაღ	დღე	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტა	დირექტორის ცენტრი	დებიტ რაოდ.
1		ხელფასის გადახდა	2	26.02.2021 21...	3130 1	01016002526 ია იამე	784.00		GEL	საერთო ღირ...	
							784.00				

გაითვალისწინეთ რომ, თუ ერთიდაიგივე პიროვნება თანამშრომლების სიაში დამატებულია რამოდენიმეჯერ, რადგან უკავია სხვადასხვა პოზიცია და განსაზღვრული აქვს სხვადასხვა განყოფილება ან თანამდებობა, მოცემულ ეკრანში იხილავთ არა ამ კონკრეტულ პოზიციაზე არსებული თანამშრომლის გადახდის გატარებებს, არამედ პიროვნების ჭრილში არსებულ ყველა გადახდის გატარებას.